

თბილისი,
2005 წელი,
დეკემბერი

**ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" შენიშვნები
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს
2005-2008 წლის ენერგოსექტორის
სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაზე**

ზოგადი შენიშვნები

პოლიტიკური, ტექნიკო-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი რისკებისგან თავისუფალი ენერგეტიკული სექტორი - ენერგორესურსების მოპოვება, ტრანსპორტირება, გარდაქმნა-განაწილება და გამოყენება, მდგრადი განვითარების წინაპირობაა.

ევროკავშირის კანონმდებლობა აერთიანებს სამ უმთავრეს კომპონენტს მდგრადი ენერგეტიკის განვითარებისათვის: (1) გარემოს დაცვის ინტეგრაცია, როგორც ენერჯის გამომუშავებისას, ასევე მისი მოხმარებისას; (2) მიწოდების უსაფრთხოება; (3) კონკურენტუნარიანი ენერჯო სისტემების განვითარება – რათა ფართო სოციალური პოლიტიკური მიზნების განსახორციელების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს დაბალი ხარჯები სამრეწველო კონკურენციის გასაღვივებლად.

სამწუხაროდ, როგორც საქართველოს ენერგოსექტორის პოლიტიკას ასევე 2005-2006 წლის სამოქმედო გეგმა უზულვებელყოფს მდგრადი ენერგეტიკის განვითარებას. მართალია, ბოლო დროს მთავრობა მეტად ყურადღებას უთმობს ენერგოუსაფრთხოების კონცეფციას, მაგრამ აქაც ძირითადი ყურადღება გადატანილია ძირითადად მოწოდების დივერსიფიკაციასა და საკუთარი რესურსების ათვისების ხელშეწყობას. სამწუხაროდ ახლაც მინიმალური ყურადღება ექცევა იმავე ენერგოუსაფრთხოების ისეთ სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა რესურსების დივერსიფიკაციას, განახლებადი ენერგორესურსების ათვისებასა და ენერგოეფექტურობას, როგორც მიმწოდებელ ასევე სამომხმრებელ მხარეს.

დღესდღეისობით, საქართველოს ენერგეტიკის სექტორში შექმნილი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაგეგმილია ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ელექტროენერჯის გენერაციისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესება და ენერჯის დანაკარგების შემცირება. თუმცა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ენერგეტიკის სტრატეგიული განვითარების გეგმა, მხოლოდ ნაწილობრივი ოპტიმიზმის იმედს

სახავს, რადგანაც მასში მხოლოდ ელექტროენერჯეტიკასა და გაზის ქვესექტორებზეა საუბარი და ზედაპირულადაა ნახსენები განახლებადი ენერჯორესურსების პოტენციალი. შესაბამისად, აღნიშნული სტრატეგია საკმაოდ შორს დგას მდგრადი განვითარების სტრატეგიისაგან.

რაციონალური, ენერგეტიკული პოლიტიკის არარსებობის შედეგია, რომ ქვეყანაში საერთოდ აღარ არსებობს თბო და ცხელწყალმომარაგების კოლექტიური (ცენტრალიზირებული) სისტემები, რომლის დატვირთვაც ძირითადად ისედაც ამორტიზირებულ ელექტროენერჯეტიკულ და ხელმისაწვდომობის შესაბამისად ბუნებრივი გაზის სისტემებს დაააწვა მძიმე ტვირთად.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტრატეგია მომზადდა თანამონაწილეობის გარეშე და რომ მთელი, რიგი მისი ელემენტები, მათ შორის ახალი გარემოსდაცვითად მავნე გენერაციის ობიექტების მშენებლობა, არ შეესაბამება არც ქვეყნის და არც ენერჯეტიკის მდგრადი განვითარების ინტერესებს.

ხუდონის ჰიდროელექტრო სადგური

2005-2008 წლის სამოქმედო გეგმა ძირითადად ასახავს საქართველოს ენერჯოსექტორში მთავრობისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ სექტორში განსახორციელებელ პროექტებს. დოკუმენტის დასაწყისშივე, საქართველოს მთავრობის განცხადებით, ძირითადი კურსი მდგრადობას არსებული თერმო და ჰიდრო სადგურების, გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაციას, რათა გაიზარდოს ადგილობრივი გენერაცია და შეამციროს ელექტროენერჯის იმპორტი მეზობელი ქვეყნებიდან.

თუმცა ამავედროულად, დოკუმენტში ხაზგასმულია ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მნიშვნელობა, რომელიც სავარაუდოდ გამოიმუშავებს წლიური მოხმარების 10%-ზე მეტ ენერჯიას და მიმდინარე ენერჯეტიკული რესურსების დაახლოებით 20%-ს, რაც თავისთავად გააუმჯობესებს საქართველოს ენერჯეტიკულ უსაფრთხოებას. მთავრობა აცხადებს რომ ის განსაკუთრებულ საკანონმდებლო გარემოს შექმნის ინვესტორებისათვის პროექტის განსახორციელებლად.

მთავრობა არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ძირითადი მიზანი ხუდონის მშენებლობისა არის ექსპორტი ზამთრის პერიოდის განმავლობაში კი. თუმცა მთავრობის განცხადებით მშენებლობა მხოლოდ 500 მლნ დოლარი ჯდება, მსოფლიო ბანკის შეფასებით ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში 780 მლნ დოლარი (+30%) დაჯდება. ამასთან ერთად, ამ აღნიშნული პროექტის სულ ცოტა 4 აშშ ცენტით მაინც გააძვირებს ელექტროენერჯის ტარიფს, მაშინ როდესაც ეკონომიკური მოგება 5%-ზე მეტი არ იქნება.

მსოფლიო ბანკი, კერძოდ საერთაშორისო განვითარებისა და რეკონსტრუქციისა ბანკი (IBRD), აპირებს დაეხმაროს საქართველოს მთავრობას ინვესტორების

მოძიებაში. ბანკის განცხადებით ის განიხილავს 5 მლნ. აშშ დოლარის გრანტის გამოყოფას წინასწარი სამუშაოების განსახორციელებლად, 50 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციის ჩადებას სადგურის მშენებლობაში და ასევე გაძღვოდა ფინანსური კონსორციუმის ჩამოყალიბებას.

თუმცა გეგმაში არაფერი არ არის ნათქვამი იმის თაობაზე, თუ როგორ გაიზრდება ტარიფი მოსახლეობისათვის ამ განხორციელებული ინვესტიციის შედეგად ან თუ რა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება ექნება სადგურის მშენებლობას. ხუდონის პროექტის განხორციელებას 90იან წლებში მთელი ქართული საზოგადოება აპროტესტებდა, რადგანაც პროექტი შეიცავს ეკოლოგიური კატასტროფის რისკებს და მოითხოვს რამოდენიმე უნიკალური სოფლის გადასახლებას, მათ შორის სოფელი ხაიშის გადასახლებას, რომელიც 1996 წლიდან შეტანილია გაეროს იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში.

ამასთან, ხუდონის მშენებლობა გააძლიერებს სვანეთის ენდემური ტყეებისა, ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ბიომრავალფეროვნების განადგურებას, ასევე მდინარის ზედა დინების წყალშემკრები მიდამოების დეგრადაციას. ხუდონის და ენგურისპეის კუმულაციური ეფექტი უარყოფითად აისახება წყლის ხარისხზე, მიკროკლიმატზე, ბუნებრივ წყალდიდობებზე და მდინარის ბინადართა შემადგენლობაზე.

სახელმწიფო პოლიტიკა ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიმართულებით

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს რომ მოახდინოს სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რათა სამინისტრომ შესძლოს ეფექტურად გაანახორციელოს ენერგოსექტორის პოლიტიკა და მოახდინოს კოორდინაცია პარლამენტთან. გეგმა ახდენს დეკლარირებას რომ მთავარი მიმართულებები უნდა იყოს საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ერთგულება, სამინისტროს მიაჩნია რომ საქართველოს ენერგომარეგულირებელ ეკონომიკურ კომისიას გააჩნია საკმაოდ დიდი ძალაუფლება, თუმცა არ წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანოს.

შესაბამისად, სამინისტრომ მოამზადა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის“ შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს ენერგეტიკის სამინისტროსათვის საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თითქმის ყველა ფუნქციის გადაცემას, რაც უკვე თავისთავად გამორიცხავს სექტორის რეგულირების ფუნქციის პოლიტიკის განმსაზღვრელის ფუნქციისაგან დამოუკიდებლობას. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს სემეკის გაუქმებას –სემეკი სამინისტროს მიერ დადგენილი წესების თანახმად განაგრძობს ლიცენზიების გაცემას და “საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში” (რომელიც მას აღარ ექნება) ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების – დადგენილებების გამოცემას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკსდპ-ითგათვალისწინებული **ენერგეტიკის მართვის ახალი მოდელის შემუშავების** პროცესის პარადოქსულობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მსოფლიოში აღიარებულ საკეთესო პრაქტიკასთან წინააღმდეგობაში მოსვლით, სემეკისათვის ფუნქციების ჩამორთმევასთან ერთად მთავრობა აღიარებს, რომ “ენერგეტიკული პოლიტიკით განსაზღვრული ურთიერთობათა თანამედროვე სისტემის წარმატებული ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი არის დამოუკიდებელი და ამავედროულად ეფექტური მარეგულირებლის არსებობა”¹ და სახელმწიფო მისი ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარებას გეგმავს(?!).

პრივატიზაცია

საქართველოს მთავრობა გეგმავს 2006 წელს განახორციელოს ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, მათ შორის გაერთიანებული სადრისტიბუციო კომპანიის და აჭარის სადისტრიბუციო კომპანიას. და დაახლოებით 10-მდე მცირე ჰიდროელექტროსადგურის. “ამავდროულად, გამოვიდეს ერთიანი ენერგობალანსიდან და თავისუფალი იყოს გამომუშავებული ელექტროენერჯის გაყიდვის არჩევანში”. თუმცა პირდაპირი მიყიდვის წესის დადგენა საკმაოდ წინ გადადგმულ ნაბიჯად გვევლინება. ამასთან ერთად საკმაოდ დიდ შემფოთებას იწვევს დაგეგმილი ჰესების პრივატიზაცია, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მთავრობას ჯერ კიდევ არა აქვს შეფასებული ენერგოსექტორში განხორციელებული პრივატიზაციის შედეგები და გაკვეთილები.

შესაბამისობა ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამასთან

ენერგოეფექტურობა და ენერჯის განახლებადი წყაროები - აღსანიშნავია, რომ ეკსდპ-ს თანახმად, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, “განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება:

- ♦ ენერგოდანახარჯების შემცირების განსაკუთრებით ეფექტიან მიდგომებს – პირველ რიგში ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვას და გამოყენებას;
- ♦ ენერჯის წარმოების ალტერნატიული და განახლებადი წყაროების გამოყენებას, სადაც ეს ეკონომიკურად ეფექტიანია (ბიოგაზი, მცირე ჰესები, ქარის, თერმული წყლების, მზის ენერჯია).”

მიუხედავად, იმისა რომ სამოქმედო გეგმა აღიარებს საქართველოში არსებული განხლებადი ენერგორესურსების პოტენციალს. სამინისტრო ხაზს უსვამს მცირე ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის აუცილებლობას და თანხებსაც კი გამოყოფს რამოდენიმე ჰესის აღდგენისათვის. თუმცა მზის, ქარისა, გეოთერმალური და ბიომასის ენერგოპოტენციალი ნამდვილად არ წარმოადგენს პრიორიტეტს სამინისტროსთვის.

¹ ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის მხარდამჭერი პროექტი, ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელების 2005 წლის ანგარიშის შემუშავებისადმი მიძღვნილი სემინარი, ენერგეტიკის დარგი, 17.10.05

ხოლო რაც შეეხება ენერგოეფექტურობას, ის საერთოდ არ არის ნახსენები სამოქმედო გეგმაში, რაც მიუთითებს, სწორედ იმ ფაქტზე, რომ სამინისტროს არა აქვს გააზრებული ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგეტიკის კავშირი სიღარიბესთან და არ მუშაობს სიღარიბის აღმოფხვრის მიმართულებით ენერგოხელმისაწვდომობის კუთხით.